მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

თათია კაცობაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკა მეგუთნიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია კაცობაშვილი

03/07/2022

აბსტრაქტი

ყოველი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღობის უკან დგას სწორი მონეტარული პოლიტიკა. ის იძლევა საშუალებას დაარეგულირო საკრედიტო ბაზრის მდგომარეობა, აკონტროლო კომერციული ბანკების საქმიანობა, გავლენა მოახდინო ბიზნეს საქმიანობაზე და მთლიან მოთხოვნაზე. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა სივრცის 5 ქვეყანის მიერ ჩატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, თუ რა ნაბიჯები გადადგეს ფინანსური მდგომარეობის დასტაბილიზირებისთის. მოცემული გზა ყველა სახელმწიფოს განსხვავებული ჰქონდა, რომლის დროსაც მონეტარული პოლიტიკის სხვადასხვა რეჟიმებს პრაქტიკაში იყენებდნენ.

იმის გასარკვევად, თუ რომელი ქვეყნის ფულად- საკრედიტო პოლიტიკა აღმოჩნდა უფრო წარმატებული, ნაშრომში ჩატარებულია აღწერითი კვლევა, რომლის ფარგლებში განხილულია სხვადასხვა სამეცნიერო წყარო და სტატისტიკური მონაცემები. ასევე ჩატარდა რაოდენომრივი კვლევაც. კითხვარი განთავსდა სოციალურ ქსელებში. მოცემული გამოკითხვის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების განსაზღვრა საქართელოს ეროვნული ბანკის მუშაობის მიმართ.

მიღებული შედეგების გაანალიზებით გამოჩნდება თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად გატარებულ მონეტარულ პოლიტიკას. თუ რომელ ქვეყნებზე ყველაზე მეტი გავლენა იქონია გარე ფაქტორებმა (მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რუსეთ-უკრაინის ომი, პანდემია და სხვა), რომლებმაც თავის მხრივ, გამოიწვია ინფლაციის დონის ძლიერი რყევები. მაჩვენებლები, რომელთა შორისაა: ინფლაციის ცვლილება, სტანდარტული გადახრა მიზნობრივი ინფლაციიდან, საბანკო სისტემის სუფთა მოგება, გამოავლენს, რომელი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა უკეთ გაუმკლავდა მოცემულ გამოწვევებს. ასევე რაოდენორბივი გამოკითხვით, რომლის ფარგლებში კითხვარი განთავსდა სოციალურ ქსელებში, გაირკვევა საქართველოს მოსახლეობის ნდობის და კმაყოფილების დონე საბანკო სექტორის მიმართ.

საძიებო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ფულად- საკრედიტო პოლიტიკა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი, თარგეთირება, მიზნობრივი ინფლაცია, რეფინანსირების განაკვეთი

Abstract

The correct monetary policy is behind the economic stability and prosperity of each country. It allows you to regulate the credit market situation, control the activities of commercial banks, influence business operations and aggregate demand. This master's thesis analyzes the monetary policy pursued by the 5 countries of the post-Soviet space and what steps can be taken to stabilize the financial situation. The given way was different for every state, during which different monetary policy regimes were used in practice.

To find out which country's monetary policy was more successful, the paper conducted a descriptive study that reviewed various scientific sources and statistics. Quantitative research was also conducted. The questionnaire was posted on social networks. The purpose of this survey was to determine the attitude of the Georgian population towards the work of the National Bank of Georgia.

The analysis of the obtained results will show how important the correct monetary policy is. Which countries were most affected by external factors (global financial crisis, Russia-Ukraine war, pandemic, etc.), which in turn led to strong fluctuations in inflation levels. Indicators such as: change in inflation, standard deviation from inflation target, net profit of the banking system, will reveal which country's central bank has better handled these challenges. Also, the quantitative survey, in the framework of which the questionnaire was posted on social networks, will determine the level of trust and satisfaction of the Georgian population towards the banking sector.

Keywords: monetary policy, inflation, exchange rate, targeting, Target inflation, Refinancing rate.